შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ლ ტ ე რ ბ რ ი ჯ ი

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N2, 05/03/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 07/03/2019 წ. N ბ/1-01/08 ბრძანებით
განახლების თარიღი: 17.01.2022

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

1.წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადების, შეფასებისა და დაცვის წესებს.

2. სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით;

3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.

4. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები თანდართულია წინამდებარე ინსტრუქციაში. (დანართი #1)

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა

1. სამაგისტრო ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელთან შეთანხმებით. აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში.

2. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობისთვის აქტუალურ სამეცნიერო მიმართულებებს.

3. მაგისტრანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით თემის შეცვლა დასაშვებია კვლევის დაწყებიდან არა უგვიანეს 3 კვირისა. ამ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის თემის რეგისტრაციისათვის აუცილებელი პროცედურები.

4. შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის საბჭო.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ან დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. სტუდენტს ასევე შეუძლია დეკანატს განსახილველად შესთავაზოს სხვა კანდიდატურა, მისი საკვალიფიკაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. ინტერდისციპლინური კვლევის შემთხვევაში ერთ სამაგისტრო თემაზე თანახელმძღვანელიც შესაძლოა დარეგისტრირდეს.

2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი - ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მუშაობას, ეხმარება მას კვლევის პროექტის შემუშავებაში, წყაროების შერჩევაში, საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბებაში, საკვლევი შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით კვლევის განხორციელების თაობაზე. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს შესრულებული ნაშრომის რეცენზენტისთვის შესაფასებლად გადაცემის საკითხს; (დანართი #3)

3. მაგისტრანტს უფლება აქვს დასაბუთებული მოთხოვნით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევიდან ერთი თვის ვადაში, შეიცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია

1. სამაგისტრო ნაშრომის პროექტზე ხელმძღვანელის დადებითი რეკომენდაციის მიღებისა და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პარალელურად, სამაგისტრო ნაშრომი იგზავნება რეცენზიისთვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დეკანთან შეთანხმებით, იღებს გადაწყვეტილებას რეცენზენტის შერჩევის შესახებ და რეცენზენტებს ამტკიცებს სკოლის საბჭო.

3. ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შესახებ არ არის ცნობილი მაგისტრანტისთვის და ხელმძღვანელისთვის რეცენზიის წარდგენამდე.

4. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი დამოუკიდებლად ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომს ერთი კვირის ვადაში, რის შედეგად უგზავნის მას მაგისტრანტს და პროგრამის ხელმძღვანელს.

5. რეცენზიაში უნდა აისახოს:

ა. ნაშრომის დასახელება;

ბ. სამაგისტრო თემის აქტუალურობა;

გ. კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები;

დ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ხარისხი;

ე. ნაშრომისათვის დაცვაზე დაშვება-არდაშვების თაობაზე მოსაზრება.

6. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზიაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოჩენილი:

ა. სარეცენზიო ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები;

ბ. შენიშვნები, რომლებიც გაუჩნდება რეცენზენტს. შენიშვნები უნდა იყოს არგუმენტირებული და შესაძლებელია კითხვის სახითაც დასმული;

7. რეცენზენტის შეფასება გათვალისწინებული იქნება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში.

8. რეცენზია უნდა დადასტურდეს რეცენზენტის ხელმოწერით. (დანართი #4)

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი შეფასებით დაცვისას 100 ქულის ფარგლებში. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ, დასკვნით სხდომაზე. დაცვაზე მიღებული შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების და რეცენზენტს მიერ დაწერილ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით.

2. სამაგისტრო ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 51 ქულას.

3. თუ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის ერთჯერადი შეფასებით, ვერ მიიღებს მინიმუმ 51 ქულას, მაგრამ მისი შეფასება იქნება 41-50 ქულის ფარგლებში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო თუ სტუდენტის შეფასება იქნება 0-40 ქულის ფარგლებში ”F”, მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია თავიდან გაიაროს ეს კომპონენტი დადგენილი წესით.

4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, მის მსვლელობასა და საბოლოო შედეგებზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ოქმი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა ხდება იმავე სემესტრში არაუგვიანეს მე-15 კვირისა;

2. მაგისტრანტი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის 1 აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (Word და PDF ფორმატში).

3. წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა.

4. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარედგინება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნის წარმოდგენის მიზნით არაუგვიანეს მე-14 კვირისა;

5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემის საკითხს არაუგვიანეს მე-15 კვირისა;

6. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტისთვის წარდგენამდე ხდება ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება;

7. ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი/პროექტი და მისცეს რეკომენდაციები;

8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება.

9. ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა რეცენზენტს დასკვნის მომზადების მიზნით;

10. რეცენზენტების მიერ უარყოფითი დასკვნის (არ დაიშვება საჯარო დაცვაზე) მომზადების შემთხვევაში, მაგისტრანტი არ დაიშვება ნაშრომის საჯარო დაცვაზე;

11. რეცენზენტების მიერ დადებითი დასკვნის (დაიშვება საჯარო დაცვაზე) მომზადების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი / პროექტი შეფასების მიზნით გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას არაუგვიანეს მე-18 კვირისა;

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები.

2 აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევად მოიჩნევა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების

კომპონენტში:

ა). მაგისტრანტის მიერ განზრახ სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;

ბ). საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევარის ან მისი ნაწილის წარდგენა;

გ). სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;

დ). წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სისტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან

წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე;

ე). სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე,

ვ). ინფორმაციის გაყალბება ან მისი მცდელობა;

ზ). კვლევის შედეგების განზრახ არასწორი ინტერპრეტირება;

თ). კვლევებისა და დასკვნების დაუსაბუთებელ წყაროებზე დაყრდნობა.

4. ხელმძღვანელის რეკომენდაციის მიღების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომი გადის პლაგიატზე შემოწმებას ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

5. ანტიპლაგიატზე შემოწმების შედეგად ნაშრომში გამოვლენილი პლაგიატის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.

6. ანტიპლაგიატზე შემოწმების შედეგები ეცნობება სტუდენტს და შეიძლება გასაჩივრდეს სასწავლო კომპონენტის გასაჩივრებისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომისია

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე;

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები (არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრი), კომისიის წევრი შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტი.

3. კომისია უფლებამოსილია, თუ შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრება კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც;

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი;

5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის საჯარო. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას უნდა ესწრებოდეს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

7. კომისია აფასებს ნაშრომსა და მის პრეზენტაციას სპეციალური შეფასების კრიტერიუმებით (დანართი #5).

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე წარადგენს თემის აქტუალობას, კვლევის შედეგების მიმოხილვას და შესაბამის რეკომენდაციებს.

2.საჯარო დაცვის ხანგრძლივობა ერთ ნაშრომზე არ უნდა აღმატებოდეს 20 წუთს.

3. დამსწრე საზოგადოებას და კომისიის წევრებს ეძლევათ 10 წუთი შეკითხვებისა და კომენტარებისთვის.

4. საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტისათვის, შესაძლოა დაინიშნოს თემის პრეზენტაცია დისტანციურად (ნებისმიერი კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც ცოცხალ რეჟიმში ხმისა და გამოსახულების მიღების შესაძლებლობას იძლევა) სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 10. აპელაცია

1. მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით;

2. მაგისტრანტი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;

3. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, განსაზღვრავს თავმჯდომარეს და მდივანს.

4. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 პირისგან.

5. სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 3 დღის ვაადში უნდა ეცნობოს სტუდენტს.

მუხლი 11. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე

1. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე ეკუთვნის მის ავტორს.

2. მომიჯნავე უფლებები (მათ შორის ნაშრომის ან მისი ნაწილის დაბეჭდვის, ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში განთავსების, სამეცნიერო კვლევაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშის ჩართვის და

ა.შ.) უფლებები ეკუთვნის სასწავლო უნივერსიტეტს და აღნიშნული უფლებების რეალიზება არ საჭიროებს დამატებით ავტორთან შეთანხმებას.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ინსტრუქციით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და ალტერბრიჯის დებულებებით.

2. წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება შედის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით

დანართი 1. სამაგისტრო ნაშრომის მახასიათებლები

1.1. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები

1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

➢ ფორმალური ნაწილი:

- სატიტულო გვერდი;
- ხელმოწერების გვერდი;
- საავტორო უფლების გვერდი;
- რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სარჩევი;

➢ შინაარსობრივი ნაწილი:

- შესავალი
- ძირითადი ტექსტი
- დასკვნა
- ბიბლიოგრაფია

5.2 სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი ნაწილებია:

ა. ცხრილების ნუსხა;

ბ. დანართები;

1.2. სამაგისტრო ნაშრომის ფორმალური ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, ავტორისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის სახელსა და გვარს ასევე, ტექსტს „სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია _____ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „სასწავლო უნივერსიტეტი“ (იხ. დანართი 2).

2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმოწერების გვერდი (გვერდი (II)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. ნაშრომის წარმოსადგენ ვერსიის ყველა ეგზემპლიარს უნდა ქონდეს ჰქონდეს ორიგინალი ხელმოწერები. ეს გვერდი უნდა მოიცავდეს შემდეტექსტს: „სასწავლო უნივერსიტეტი“, „_____ სკოლა“, „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას სასწავლო უნივერსიტეტის _____ სკოლის საბჭოში მის განხილვას _____ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.

3. სამაგისტრო ნაშრომის საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (III)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალი ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს მიზნობრივი განკარგვის (არაკომერციული-საგანმანათლებლო მიზნებით გავრცელების და რეფერირების) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „სასწავლო უნივერსიტეტი“, სკოლის საბჭოში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, სკოლის დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშული დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს სასწავლო უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საავტორო მომიჯნავე უფლებებს. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

4. სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი. რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 200-დან 300 სიტყვამდე. სკოლის საბჭოს უფლება აქვს გაავრცელოს რეზიუმე როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე. თუ სამაგისტრო ნაშრომი სხვა ენაზეა შესრულებული, მაშინ რეზიუმე უნდა დაერთოს ქართულ ენაზე.

5. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს, სადაც მიეთითება შესავალი, ყველა თავი, ქვეთავი, დასკვნა, ბიბლიოგრაფია. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა 12. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

1.3. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი

1.3.1. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად ტექსტსა და დასკვნას.

1.3.2. შესავალი სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა წარმოჩნდეს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები; ხოლო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე შესაძლოა ჩამოყალიბდეს ჰიპოთეზა (ავტორისეული მეცნიერული ვარაუდი, რის დამტკიცებასაც ის კვლევის შედეგად მოელის), მეთოდოლოგია (გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობის დასაბუთებით და იმის ჩვენებით, თუ ნაშრომთან მიმართებით, რა მიზნით იქნა გამოყენებული ყოველი კონკრეტული მეთოდი). შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

1.3.3. ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და ქვეთავებად. მათში უნდა აისახოს კვლევის თეორიული კონტექსტი და მათში განვითარებული წინააღმდეგობრივი იდეები, სადავო საკითხები, დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ჩატარებული კვლევა, გამოიკვეთოს მისი შედეგები, საკუთარი მეცნიერული მიგნებები, ახალი შეხედულებები და მიდგომები.

1.3.4. კვლევის შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

1.3.5. დასკვნით ნაწილში ჯამდება კვლევის შედეგები, იკვეთება ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, წარმოჩნდება მეცნიერული სიახლე, განისაზღვრება რეკომენდაციები იმპლემენტაციის არეალისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ჩვენებით.

1.4. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, სამაგისტრო ნაშრომის ტექსტის არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის გვერდის ველი ზედა და ქვედა კიდიდან 2 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული, მარცხენა კიდიდან - 2,5სმ-ით, მარჯვენა კიდიდან - 2 სმ-ით.
- ✓ 4. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი უნდა შესრულდეს Sylfaen შრიფტით, ძირითადი ნაწილი ზომით 12. თავის სათაურის შრიფტის ზომა 14 Bold, ქვეთავის სათაურისა 12 Bold. თავის სათაური ტექსტისგან გამოიყოფა 3 ინტერვალის გამოტოვებით, ქვეთავის სათაური თავის სათაურსა და ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (I, II, III და ა. შ.). სამაგისტრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, ცხრილები და გრაფიკები ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

- ✓ სამაგისტრო ნაშრომში აბრევიატურის გამოყენებისას, პირველ შემთხვევაში ის უნდა იყოს გაშიფრული, რის შემდეგაც ფრჩხილებში მიეთითება აბრევიატურა, რომელიც შემდგომ იქნება გამოყენებული (მაგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შედგომში - სსკ); ამავე პრინციპით სათაურის ერთზე მეტად გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია აბრევიატურის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოკლება სიმბოლოთა სრულიად უჩვეულო კომბინაციას ქმნის.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომში სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

1.5. სქოლიოს გაფორმების წესი

- ✓ სამართლებრივი აქტის გამოყენებისას აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება და წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, აგრეთვე თარიღი და გვერდი.
- ✓ ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:

ა. წიგნისთვის - ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

ბ. კრებულის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), კრებულის სახელწოდება (უბრჭალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

გ. ჟურნალის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), პერიოდიკის სახელი შემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ბრჭყალებში) ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამის ოფიციალური თარგმანის მითითებით).

დ. სქოლიოში აუცილებელია ერთიანი სისტემის დაცვა: ავტორი და ნაშრომის სათაური გამოიკვეთოს სიტყვათა სხვადასხვა დახრილობით (მაგ., ავტორი - დახრით, დანარჩენი ინფორმაცია - გამართულად, ასევე დახრით მიეთითოს ყველა გამოყენებული გვარი, მაგ., რედაქტორის), ამავე დროს, ყველა ერთეული (გარდა გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით და სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.

ე. მასალა, რომელიც მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით, საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტგვერდისა და ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, ინტერნეტ გვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი.

ვ. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.

ზ. ქართული ტექსტისთვის უნდა გამოვიყენოთ ,,ქვედა'' და ,,ზედა'' (,,...'') ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის - ,,ზედა'' (''...'') ბრჭყალები.

თ. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები - დაისმის ბრჭყალის წინ, თუ ამით სრულდება წინადადება. ბრჭყალის შემდეგ, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას. როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი

ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი; ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: სასვენი ნიშანი, ბრჭყალი,

სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში შეიძლება მათი განსხვავებული ფორმების გამოყენება.

ი. სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო, საჭიროა გამოიყოს შემდეგი შემთხვევები:

1) ზუსტად წინა სქოლიოში მითითებული წყაროს ნაცვლად მიეთითება ,,იქვე'' . ,,იქვეს'' შემდეგ საჭიროებისამებრ მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი);

2) მანამდე მითითებული, მაგრამ არა წინამდებარე, წყაროს გამოყენებისას უნდა მიეთითოს ამ წყაროს სრული დასახელება შესაბამისი გვერდით.

1.6.ციტირების წესი

სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯში" მიღებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ციტირებისა და მითითების წესი.

ტექსტში დამოწმებისას მისი მოთხოვნებია:

თუ მოხმობილი აზრი, მოსაზრება ციტატას წარმოადგენს, ბრჭყალებში ვსვამთ ამონარიდს, ფრჩხილებში ვწერთ ავტორის გვარს, მძიმეს, გამოცემის წელს, ორწერტილს და გვერდის ნომერს. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად: მაგალითად: (ჯორბენაძე, 2007:181).

პერიფრაზირებისას ბრჭყალებს არ ვიყენებთ; გვერდის მითითება სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად: მაგალითად: (გამყრელიძე, 2007) ან (გამყრელიძე, 2007: 152).

კრებულების დამოწმებისას ფრჩხილებში ვწერთ კრებულის სათაურის პირველ სიტყვას, მრავალწერტილს, პუბლიკაციის გამოცემის წელს, ორწერტილს და გვერდის

ნომერს. მაგალითად, ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად: (ახალგაზრდა... 2020:123).

თუ წიგნს/სტატიას ჰყავს რამდენიმე ავტორი, ფრჩხილებში ვწერთ წიგნში/სტატიაში პირველად მითითებული ავტორის გვარს, მრავალწერტილს, გამოცემის წელს, ორწერტილს და გვერდის ნომერს. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად. მაგალითად: მაგ. (წიფურია... 2020:28).

ბიბლიის დამოწმება ხდება შემდეგნაირად: ფრჩხილებში ვწერთ ბიბლიური წიგნის სახელწოდებას შემოკლებით, წერტილს, თავის, ორწერტილს, მუხლს. მაგალითად: (დაბ. 14:20).

ენციკლოპედიის ან ლექსიკონის დამოწმებისას ხდება ავტორის (ავტორთა გვარების) ან სათაურის პირველი სიტყვის მითითება, შემდეგ ვწერთ გამოცემის წელს, ორწერტილს და გვერდს ციტირებისას. პერეფრაზირებისას გვერდის მითითება სასურველია, თუმცა სავალდებულო არ არის.

უცხოენოვანი წყაროს მითითების შემთხვევაში, ავტორის გვარს ვწერთ ორიგინალის ენაზე. დამოწმების წესი კი ისეთივე იქნება, როგორიც არის ქართულენოვანი წყაროს მითითებისას.

თუ ავტორი ნახსენებია სამეცნიერო ნაშრომში/სტატიაში, მისი ნაშრომი უნდა იყოს ასახული ლიტერატურის სიაში/ბიბლიოგრაფიაში და პირიქით.

1.7. ბიბლიოგრაფიაში გამოყენებული წყაროს მითითების წესი:

ა) **წიგნი**

გვარი, ინიციალები. (წელი). სათაური. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

Freeman, E. (2010). Strategic Management. Cambridge, Cambridge UP

ლანგი ი. „მედია და არჩევნები“. (2003). თბილისი, გამომცემლობა „რეგთაიმი“.

თუ წიგნს არა ჰყავს ავტორი ან რედაქტორი, მის ნაცვლად შეიძლება დავწეროთ ორგანიზაცია:

UNESCO. (1998). Learning to live together in peace and harmony: values education for peace, human
rights, democracy and sustainable development for the Asia-Pacific Region; a UNESCO/APNIEVE
sourcebook for teachers education and tertiary level education. Bangkok, Thailand: UNESCO PROAP

თუ წიგნი რამდენიმეჯერ იყო გამოცემული, აღნიშნეთ, რომელი გამოცემაა ეს (მაგალითად: მესამე გამოცემა/ 3th edition). თუ გამოცემის წელი არ არის მითითებული, აღნიშნეთ: n.d/ არ არის დათარიღებული.

ბ) **სტატია ჟურნალში**

გვარი, ინიციალები. (წელი). სათაური. ჟურნალის სახელწოდება დახრილი. ნომერი, გამოშვება, გვერდები:.

სტატიის გვერდის მითითებისას ან შემოკლებით „გვ“. დაწერეთ ან მძიმით გამოყავით ისინი. მაგალითად: 8 (2), გვ./p. „58-59“ ან 8 (2): „58-59”. დაიცავით მხოლოდ ერთი რომელიმე მითითება.

გ) **სტატია წიგნში**

წიგნის ავტორის (რედაქტორის) გვარი, ინიციალები. (წელი). წიგნის სათაური (დახრილი შრიფტით). გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდები.

დ) **ელექტრონული წყაროები:**

თუ ვებ-გვერდს ავტორი არა ჰყავს, მიუთითეთ ორგანიზაცია ან ვებ-გვერდის დასახელება. თუ არც ერთი არ არის ხელმისაწვდომი, დაწერეთ ავტორის გვარი, ინიციალები. (წელი). სათაური, ნომერი (დახრილი), ვებ-გვერდის მისამართი და მასალზე წვდომის თარიღი.

თუ მოძიებულია ელექტრონული წყარო სხვა სტატიაში და იყენებთ მას თქვენს კვლევაში, დარწმუნდით, რომ ეს წყარო კიდევ არსებობს. დაწერეთ ის თარიღი, როცა თქვენ გაეცანით მას.

ბიბლიოგრაფიაში ლიტერატურის სია იწერება ანბანურად. ერთი და იგივე ავტორის პუბლიკაციების მითითებისას იცავთ ქრონოლოგიის პრინციპს. ჯერ წერთ უახლესს, შემდეგ უფრო ძველს. თუ თქვენ გამოიყენეთ ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომი, პუბლიკაცია, რომელიც ერთსა და იმავე წელს გამოვიდა, მათი მითითება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: Radbruch, 2013a and Radbruch 2013 b. თუ ერთ პუბლიკაციას ერთი ავტორი ჰყავს, სხვა პუბლიკაციაში კი იგივე ავტორს თანაავტორი ჰყავს, ჯერ უთითებთ ერთავტორიან პუბლიკაციას, შემდეგ კი - ორ ან მეტ ავტორიანს. მაგალითად:

Schmitt, N. (2010). Researching Vocabulary: A Vocabulary Research Manual. New York: Palgrave Macmillan

Schmitt, N. (1997 a). Vocabulary learning strategies. In Schmitt, N. and McCarthy, M. (eds), Vocabulary: Description, Acquisition, and Pedagogy. Cambridge: Cambridge University Press. p. 17-26

Schmitt, N. (Ed.) (1997b). Vocabulary: Description, acquisition, and pedagogy. Cambridge: Cambridge University Press.

Schmitt, N. and Meara, P. (1997). Researching vocabulary through a word knowledge framework: Word associations and verbal suffixes. Studies in Second Language Acquisition 19, p. 17–36

1.8. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

1.8.1. ბიბლიოგრაფია სამაგისტრო ნაშრომში კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და ნუმერირებული.

1.8.2. უპირველესად უნდა განთავსდეს ქართულენოვანი მასალა და/ან სამეცნიეო ლიტერატურა ანბანური წესით. ქართულენოვანი წყაროების შემდეგ იმავე თანმიმდევრობით ხდება უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, ელექტრონული ბმულები. სამეცნიერო

ლიტერატურის ბოლოს მიეთითება შესაბამისი გვერდები. ერთი და იმავე წყაროს ნაშრომში სხვადასხვა გვერდების მითითებით რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა გვერდის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც განხორციელდა ნაშრომში.

1.9. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი ნაწილები

1.9.1. თუ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

1.9.2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

1.9.3. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში.

შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

1.9.4. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

1.9.5. თუ სამაგისტრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

1.9.6. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორმა გააკეთოს ჩამონათვალი და შესაბამისი ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სამაგისტრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.

1.9.7. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.

.

დანართი 2. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა)

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

სტუდენტის სახელი, გვარი

ნაშრომის ხელმძღვანელი

წარმოდგენილია

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
,,ალტერბრიჯი“

თბილისი, 2022

დანართი 3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა

სტუდენტის სახელი, გვარი

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

წარმოდგენილია

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღანელის წერილობითი დასკვნა

ნაშრომის ხელმძღვანელი:

თბილისი, 2022

დანართი 4. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასება

შეფასების ფორმა

სამაგისტრო პროგრამა_____

თემის სათაური_____

სტუდენტის სახელი, გვარი_____

სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტების შეფასება

	შეფასების კომპონენტები	**შეფასება**
1	ნაშრომის ფორმალური მხარე	
2	სამაგისტრო თემის, მიზნებისა და ამოცანების აქტუალობა	
3	ფაქტობრივი მასალის ფლობა, გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია	
4	კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები	

რეცენზენტის დასკვნა

(სარეცენზიო სამაგისტრო ნაშრომის მოკლე შეფასება 1-3 გვერდი)

რეცენზენტის ხელმოწერა:

თარიღი:

თბილისი, 2022

დანართი 5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება

შეფასების ფორმა

სამაგისტრო პროგრამა_____

თემის სათაური_____ სტუდენტის სახელი, გვარი_____

№	კომისიის წევრები	*შეფასების კომპონენტები*					მიღებული შეფასება
		ნაშრომის ენა, სტილი და გაფორმება	მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა	მასალის ფლობა, გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია	სამეცნიერო კვლევის მეთოდი, სიახლე, ლოგიკურობა,	*პრეზენტაცია*	
1							
2							
3							
4	**რეცენზენტის შეფასება**						
5	მაგისტრანტის მიერ მიღებული შეფასება არის კომისიის წევრების შეფასებათა შეფასების საშუალო არითმეტიკული ქულა, რაც ჯამურად შეადგენს დადებით შეფასებას **51-100 ქულა** ან უარყოფით შეფასებას: **-0-50 ქულა**						

კომისიის თავმჯდომარე_____

კომისიის წევრი_____

კომისიის წევრი_____

კომისიის მდივანი_____

თარიღი:

თბილისი, 2022